

F 29
1888



თ ე ა ტ რ ი

საქოველ-ქვირაო სალიტერატურო და სამხატვრო გაზეთი

1888 წელსა

№ 34

ანკაენისთვის 25.

გაზეთი ღირს: ერთის წლ. 5 მ.,
ნახევ. წლ. 3 მ., ცალკე № 15 კ.
ხელის მოწერა მიიღება:
თბილისში, რედაქციის კანტორაში,
ფოთში ბესარიონ კალანდაძესთან,
აღრესი გარეშე მცხოვრებთათვის:
Тифлисъ, въ редакціи газеты
„ТЕАТРЪ“. გაზეთი ისყიდე-
ბა: თბილისში, ჩარკვიანის წიგ-
ნის მაღაზიაში; და ბ-ნ ხიდდეველ-
თან — გოჯოგინის პროსპექტზე.

საგაზეთოდ დანიშნული წერი-
ლები (კორრესპონდენცია) გარყვე-
ვით უნდა იყოს დაწერილი. თუ სა-
ჭიროება მოითხოვს წერილებს რე-
დაქცია შეასწორებს. რედაქცია არა
კისრულობს წერილების უკან გაგ-
ზავენას და მათ შესახებ მიწერ-
მაწერას.

ყოველ წერილში უნდა იყოს
მოსხენებული: სახელი, გვარი და
საცხოვრებელი ადგილი დამწერისა

66

VII

უცხოეთში

შატანა მოთხრობა

(გაგრძელება)

სალამო იყო ნამორელი ამხანაგისაგან რომ წამოვიდა. რა ექნა? შინ შესულიყო, ვერაფერს გააკეთებდა. ბარემ სიამოვნე-
ბით შევიდოდა იმ ქალის სანახავად, მაგრამ მოხუცს დედაკაცს
ერიდებოდა. ნამორელი პარისში ოთხის წლის განმავლობაში
თეატრში სულ სამჯერ ყოფილიყო. ახლა უცებ აზრად მოუ-
ვიდა წასვლა.

— მოდა, დღეს თეატრში წავალ; რაც გახდეს — გახდეს!
დაე, დაიკარგოს ერთი ფრანკი; მერე ვიმარხულეუ. მაინც ამა-
ლამ ვერას გავაკეთებ და!

თქვა და გაათავა. საქომიკო ოპერისკენ წავიდა ნელ-ნელა.
რაკი ჯერ აღრე იყო, დროს დასაკარგავად მათე ხან აქ შეჩერ-
დებოდა, ხან იქ; ხან ერთის მაღაზიის სარკმლებში დაიწყებდა
გამოთენილის ნიეთების შინჯვას, ხან მეორისაში. იმ დროს

როცა იმისთანა მიღაზიას შინჯავდა, საცა ქალების მორთულობის ნიეთები იყიდებინან, ერთი ვილაც მიუახლოვდა და თითქმის უჩუჩუქულა: ბატონო, ჩემთვის საჩუქარს ხომ არ არჩევთ?

მათემ ნაცნობი ხმა რომ გაიგონა და შობრუნდა, მის თვალებმა დაინახეს ის ქალი. ნამორელს თითქო თავზარი დაცვაო. ქალი მორთულიყო, სულ ერთიანად გამოცელილიყო; არ გამოასცელოდა მარტო მოციმციმე პირის სახე.

— ვერ გიცანით, ბატონო! თქვა მათემ.

— გაეიაროთ ერთად! უთხრა ქალმა. მათეც მორცხვობით წაჰყვა.

— თქვენი სადგომი შორს არის? ჰკითხა ქალმა.

— არა, ბატონო, აკი მოგახსენეთ ჩემი აღრესი! მიუგო მათემ.

— ჰო, შორს არ ყოფილა; წავიდეთ თქვენსა! — თქვა ქალმა და ხელი ხელს გაუყარა მათესა.

ნამორელს ჯერ კიდევ ვერ მოეშორებინა ის ზარი, რომელიც თავს დასცა ქალმა. ის მართლა, სუფთად იყო ჩაცმული, მაგრამ ძალიან ღარიბად და უბრალოდ. იმას იმისი რცხვენოდა, თუ რას იტყოდა ხალხი, რომ მას ეს ქალი ხელგაყრილი მიჰყავდა და ან თითონ ქალი რას იფიქრებდა. ამას გარდა ეს ქალი რომ მიჰყავდა, რაზედ უნდა დაესვა, რით უნდა გამასპინძლებოდა? ეჰ, ჯანი გავარდესო, ამბობდა გულში ნუგეშად, თუ ვუყვარვარ, გაიგოს ჩემი მდგომარეობაო, მეც სუყველაფერს ვეტყვი ჩემს მდგომარეობას, სიღარიბესაო. თან ამ ფიქრში იყო და თანაც ქალს ებაასებოდა.

— მითხარით, გეთაყვა, მე მოგწონვართ თუ არა? ეკითხება ქალი.

— მე... მე... როგორ არა, მომწონხართ... დაებნა ენა მათეს.

— რას მეუბნებით? მე მგონია ძალად ვათქმეინებთ მაგას, ამბობს ქალი.

— სულაც არა, მართალს მოგახსენებ!

— მაშ რატომ პირდაპირ არ მეუბნებით? თითქო გაჯავრებით უთხრა ქალმა.

მათესაც შიში შეეპარა, ვაი თუ მართლბა ჯაერობდესო და ინანა, რომ უყოყმანოდ არ უთხრა, რომ შეცდომა გაესწორებინა, შემდეგი კითხვა მისცა:

— განა ეჭვი გაქვთ, რომ მე არ მომწონხართ?

— დიხაც; აბა, თუ აქამდის გითქვამთ ჩემთვის! ჩვეულებრივ როცა ქალი მოსწონთ, მაშინვე ეუბნებიან მომწონხართო.

ამ ლაპარაკში ისინი მიაღვენ იმ სახლს, საცა მათე იდგა. კიბეზე ხმა ამოუღებელივ ავიდენ და როცა ოთახში შევიდენ, მათემ უთხრა:

— უკაცრავად, ღარიბი ვარ და ღარიბულად მოწყობილს ოთახშიაცა ვდგევარ.

— ეგ არაფერი! მე სიმდიდრეს როდი გთხოვ, მე მინდა რომ მოგწონდე. — პასუხად მიუგო ქალმა.

— მომწონდე!.. თითქოს გულმოკლეულმა წამოთქვა მათემ.

VIII

ნამორელობა ქალი სკამზე დასაჯდომად მიიწვია, მაგრამ მან საწოლზე დაჯდომა არჩია. მათემ სკამი შორიანლო დაიდგა და ქალს ცქერა დაუწყო.

— შორს დაიდგით სკამი თორემ შეგეკამთ! უთხრა ქალმა.

შერცხენილმა მათემ წამოსწია წინ სკამი, მაგრამ ოდნავაც არ წაუწვია წინ.

— აბა, თქვით რამე; ახალი ამბავი არა იცით რა? ქალმა ჰკითხა.

— ახალი არა ვიცირა, მე მინდა მარტო თქვენი სახელი გაეგო, ხმის კანკალით უთხრა მათემ.

— ჩემი სახელია ქულიეტ.

— გვარი?

— დეორეკ. აი, ჩემი ვიზიტის კარტი!

მათემ ჩამოართო ვიზიტის კარტი, რომელზედაც გვირგვინი იყო დახატული და ეწერა: Juliette de Duoreck. ამ გვარმა მათე დააფიქრა:

— რა ექნა, ეს გვარი ფრანგული არ არის; ნუ თუ უც-



ხოელია ეს ქალი?—ფიქრობდა მათე და აპირებდა კიდევ თავის ეჭვის გამოცხადებას, მაგრამ დაიშალა.

მათემ მოინდომა გავყო ქალი გათხოვილი იყო თუ გასათხოვარი და ამის გასაგებად შემდეგი კითხვა მისცა:

— ეს გვარი თქვენის მამისაა თუ თქვენის ქმრისა?

ქალმა საცოლით უპასუხა:

— მე ქმარი რო არა მყავს, საითგან იქმნება იმისი?

— გიამათ თუ არა, რომ მე გასათხოვარი ვარ? ჰკითხა კიდევ.

— დიახ, მიამა.

— რაღა?

მათემ აღარ იცოდა რა ეთქვა.

— რა ვიცი!

— როგორ?! არ იცით და ამბობთ? ეგ ვერაფერია. არა, მაგას მაზეზი ექნება; უნდა მითხრათ. განა, არ გესიამოვნებოდათ, რო გათხოვილი ეყოფილევყავ?

— რატომ არა! ჩემთვის სულ ერთია. ძალდატანებით უთხრა მათემ.

— როგორ თუ სულ ერთია?

— ნულარ მკითხაეთ მაგას, თუ შეიძლება, — უთხრა მათემ, რომელსაც ოფლი დაასხა და სახე უთამაშებდა.

— მაშ კარგი, ამას აღარ გკითხაეთ. ახლა მითხარით ნამდვილი სიტყვა, მოგწონვართ თუ არა?

— მართალს გეუბნებით, რომ მომწონხართ. მე ერთხელ მოგახსენეთ.

— ძალიან კარგი! მოდი ხელზე მაკოცეთ!

მათე ერთს წუთს შეჩერდა, მერე მივიდა გულის კანკალით და გამოშვირილს ხელზე ერთხელ აკოცა.

— ერთხელ მარტო?! დაუყვირა ქულიეტმა გაბრუნებულს მათეს. მათე მობრუნდა კიდევ საკონცენტრაციოდ, მაგრამ ქალმა შეაჩერა:

— აღარ მინდა, აღარ! დაჯექით მანდ!

სრულებით დასუსტებული ნამორელი ჩამოჯდა მორცხვობით.

— იკავით ეგრე და მიტკირეთ მე, ბრძანებით უთხრა ქუ-

ლიეტმა, მე მანდა სულ თვალეში შემოგყურებდეთ... თქვენი თვალეში!.. თქვენი თვალეში!.. ჯოჯოხეთს შევალ იმათთვის!

მათეს ცნა დაება, აცახცახებდა, არ იცოდა რა ექნა. თითქო გაჰიპნოტიზებული იყოვო, ისე ემოჩილებოდა ქულიეტის ბძანებას.

— მოდით აქ ჩემთან!

მათე მივიდა.

— დალუნეთ დავი!

მათემ თავი დაღუნა და ქულიეტმა თმები აუწეწა და შუბლზე წამოუყარა.

— წადით და დაჯექით!

მათეც გაბრუნდა და დაჯდა.

ქულიეტმა რამდენიმე წამი გაშტერებით უცქირა ნამორელს, მერმე უბძანა:

— მოდი ჩემთან!

მათეც მიუახლოვდა.

— მოიტათ თავი ახლო!

მათემ თავი მიუახლოვა და ქულიეტმა ორთავე თვალეში აკოცა. ამ დროს ნამო⁴ელმა მოინდომა თითონაც ჩაჰკონებოდა ტუჩებში, მაგრამ ენინანმა ქალმა დაუყვია:

— არ გაბედოთ, ვიდრე მე არ მოგცემთ ნებას!

ამ გვარად ათამაშებდა ქულიეტი მათეს. ბოლოს რომ მოიღალა ეს ასეთის მოჩილებით, ამანაც ბძანებით უთხრა:

— რასა ჰგავს, ქულიეტ, ასეთი ქცევა; რატომ მე კი არ მაძლევ ნებას?

— უი საწყალი, მართალი ხართ!

(დასასრული შემდეგ №-ში)

ხალხური ლექსები

შეკრებილი „ნაპერწყლისაგან“

ბატონო შენი სასახლე
 გიგავს ქალაქის ქუჩასა,

ხომ კარგად მოგეხსენებთ
 პატივი უნდა მუშასა.

—
 ბიჭო! პირი მოგიპარსამს,
 სალამაზოთ კისერიო,
 რატომ არ დანიშნები
 შე საწყალო ვის ელიო.

—
 ზემო ქართლიდამ წამოველ,
 გადმოვიარე გორზედა,
 რძალ დედამთილი ჩხუბობდნენ
 ახლად შედღეებილ დოზედა.

სრულცი სია დრამატული თსსულებათა ქართულს
 ენაზე

შეკრებილი და შედგენილი ქართული დრამატული დასის არტისტის
 გ. აბაშიძის მიერ.

(გაგრძელება *)

ა.

აქტიორი (Актеръ) კოდ. 1 მოქმ. თსზ. ჰერკუელსკისა, თარ.
 (სელთნაწერია 1882 წ.)

ადზდით უბედური ქალი (Несчастливая дѣвица по воспи-
 танию) დრამ. 5 მოქმ. თსზ. ნანო ტარეღლიშვილისა,
 (სელთნაწერია 1881 წ.)

ადღუმზე (На маневрахъ) კამ. 4 მოქმ. თარგამ. ვ. გუნასი
 (სელთნაწერია 1888 წ.)

ადმზრდელები (Воспитатели) კამ. 3 მოქმ. თსზ. ა. მოხსუბა-
 რიძისა. (სელთნაწერია 1882 წ.)

აუად მაუადი ცოდ-ქმარ-შუა (Вспышка у домашняго оча-

*) იხ. „თეატრი“ № 32.

ga) ვოდ. 1 მოქმ. თარგმ. ა. ჭიჭინაძის. (სულთნაწერია 1879 წ.)

ახალგაზრდა ქალის სიყვარული (Любовь молодой дѣвушки) დრამ. 3 მოქმ. თსზ. კ. კალაუბნელისა. (სულთნაწერია 1879 წ.)

ახირებულნი უბედურება (Несчастіе особаго рода) კამედ. 1 მოქმ. თსზ. ჰენკოვისა, თარგმ. ა. ჭიჭინაძისა. (სულთნაწერია 1870 წ.)

ბ.

ბაბაღეს თითისტარი (Веретено Варвары) კამ. 2 მოქმედ. თსზ. ალფრედ მიუსსესი, ფრანკულიდამ თარ. დ. ყიფიანის მიერ. (სულთნაწერია 1847 წ.)

ბაგრატ IV (Багратъ IV) ისტორიული დრამა 4 მოქმ. თსზ. კ. მესხისა (სულთნაწერია 1883 წ.)

ბაიუუში (Чудакъ) კამედია-ფარსი 2 მოქმ. გადმოკ. ა. ცაგარელის-მიერ. (დაბეჭდილია ცალკე წიგნათ 1883 წ.)

ბატონის შვილის ირაკლის პირველი დრო (Первое время царевича Ираклія) ტრაგედ. 5 მოქმ. თსზ. თავ. ა. ორბელიანისა. (დაბეჭდილია ცალკე წიგნად 1877 წ.)

ბაქი-ბუქი, ანუ თვათმაქცობა (Шыль въ глаза) კამედ. 2 მოქმ. თსზ. ლაბიძისა, ფრანკულიდამ გადმოკ. კნ. ანასტ. თუმანიშვილის მიერ (სულთნაწერია 1882 წ.).

ბაქიების ხროვა (Куча хвастуновъ) კამ. 1 მოქმ. თსზ. კ. შავიწყაროელისა. (დაბეჭდილია ცალკე წიგნად 1866 წ.)

ბედი მართალთა (Судьба правдивыхъ) სცენები კლევის კაცის ცხოვრებიდამ 5 მოქმ. თსზ. კვ.ტ. კაბაშვილისა (სულთნაწერია 1884 წ.)

ბედი მართალთა (Судьба правдивыхъ) დრამ. 5 მოქმ. თსზ. გ. გურჯაძისა. (სულთნაწერია 1884 წ.)

ბედნიერი ქორწილი (Счастливая свадьба) კამედ. 4 მოქმ. თსზ. ა. ცხვედაძისა (დაბეჭდილია «მნათობი» 1871 წ. თებერვალში).

- ბედნიერი ქალი (Счастливая дѣвушка) კამ. 2 მოქმ. თსზ. თავ. გ. თუმანიშვილისა (სულთნაწერია 1879 წ.)
- ბედნიერი დღე (Счастливый день) კამ. 3 მოქმ. თსზ. სოლოვიოვისა და ასტრუკსკისა, თარგმ. მარ. საფაროვი ახაშიძისა. (სულთნაწერია 1882 წ.)
- ბედნიერება უბედურობისაგან (Отъ несчастія счастье) კამ. 4 მოქმ. თსზ. გ. გურგუაძისა. (დაბეჭდილია ცალკე წიგნად 1885 წ.)
- ბიძიასთან გამონუმრება (Комедія съ дядюшкой) ოპერეტა-ვოდევილი 1 მოქმ. თსზ. გრიგორიუკისა, რუსულიდან გადმოკეთებული თავ. რ. კრისტავის მიერ. (დაბეჭდილია „ოკერია“.)
- ბნელ ოთახში (Въ темной комнатѣ или на хлѣбъ-на воду) სუმრობა-ვოდევილი 1 მოქმ. თსზ. როდისლაუსკისა, გადმოკეთებული, ჩიქანის-მიერ. (სულთნაწერია 1879 წ.)
- ბრაზიანი ამერიკელი (Свирѣпый Американецъ) ვოდ. 1 მოქმ. თარგმანი ი. ბასტაძისა. (სულთნაწერია 1876 წ.)
- ბრილიანტი (Бриліантъ) ტრადი-კამედია 2 მოქმ. თსზ. თავ. რ. კრისტავისა (სულთნაწერია 1881 წ.)
- ბრუნავი სტოლები (Вертящіеся столы) ვოდეკ. 1 მოქმედ. რუსულიდან გადმოკ. თავ. რ. კრისტავის-მიერ (დაბეჭდილია „ცისკარი“ 1868 წ. ოკტომბერი).
- ბუტიაობა (Недоразумѣніе) ვოდ. 1 მოქმ. თსზ. თავ. ავაკი წერეთლისა. (დაბეჭდილია ცალკე წიგნათ 1879 წ.)

(შემდეგი იქნება)

რედაქტორი და გამომცემელი ალ. ნაზიმბეგი.